პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის -- აპრილი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის **III-IV** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის **III-IV** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წლის **III-IV** კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მ. უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე შ.კილაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4825101123**
თარიღი: **11/04/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ

2024 წლის მე-3 და მე-4 კვარტალში გაწეული სამუშაოს ანგარიში

ბატონო თეიმურაზ,

ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი საზრუნავი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვაა. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ-მე-3 მე4 კვარტალში დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ 10 ოჯახს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი,როლებმაც ერთჯერადად მიიღეს თითოეულმა 300 ლარი.დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია მრავალშვილიან 16 ოჯახს აქედან მე-4 შვილის შეძენის გამო 4 ოჯახს 700-700 ლარი, მ-3 შვილის შეძენისას 9 ოჯახს 500-500 ლარი, მეხუთე და მე-6 შვილის შეძენისას 1000-1000 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 17 ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი იქნა -300 ლარი თითოეულზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უჭირისუფლო მოქალაქის დაკრძალვისთვის გამოყოფილი იქნა 400 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კომპენსაცია,საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ 39 ბენეფიციარს პირს თითოეულს 350 ლარის ოდენობით. სხვა სახელმწიფო თერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 5 მონაწილეს -350 ლარის ოდენობით. ცერებრალური დამბლით დაავადებულ 14 პირს თითოელს 500 ლარი.ჩერნობილის ატომურიელექტრო სადგურის სალიკვიდაციო სამუშაობში მონაწილე 2 პირს გაეწია დახმარება 350 ლარის ოდენობით. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 12 პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწიათ დახმარება თითოეულს 400 ლარი. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე, ჰემოდიალიზზე და პერიტონიულ დიალიზზე დამოკიდებულ 8 პირს გაეწია დახმარება თითოეულს 2000 ლარი. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 12 ბავშვს გაეწია დახმარება თითოეულს 400 ლარი. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 36 პირს გაეწია დახმარება თითოეულს 300 ლარის ოდენობით.ფსორიოზით დაავადებულ3 23 პირს გაეწია დახმარება თითოეულს 400 ლარი, მძიმე და საშიში დაავადების მქონე 370 ბენეფიციარს გაეწია დახმარება მედიკამენტების შესაძენად . პარკინსონით დაავადებულ19 პირს გაეწია დახმარება თითოელს 400 ლარის ოდენობით.8 აგვისტოს ომში დაღუპულ 4 მებრძოლის ოჯახს

გაეწია დახმარება თითოეულს 1800-1800 ლარის ოდენობით. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად განსაკუთრებული საჭიროების მქონე 21 სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის თითოეულისთვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად 2000-2000 ლარი. სოციალურად დაუცველ ერთ ოჯახს სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით 1-ლი შვილის შემეხისთვის გამოეყო ერთჯერადად 300 ლარი. სარეაბილიტაციო ცენტრ,, ჩვენი სახლის ''24 ბენეფიციარს სასექტებროდ გამოეყოთ ერთჯერადად თითოეულს 100-100 ლარი.სოციალურად დაუცველ ოჯახებს ოჯახის სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით 1-ლ კლასელებს სასკოლო ნივთების შესაძენად გამოეყოთ 100-100 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 49 მოქალაქე. მათ ბინის ქირის ასანაზღაურებლად თვეში ერთხელ გამოეყოთ -300 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაიხგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისთვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების გამო. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა 73 ოჯახმა მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა 5 მოქალაქე თვეში 300 ლარის ოდენობით.დედ- მამით ობოლ 2 ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება კვარტალში 400 ლარის ოდენობით.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი 8 ოჯახისათვის განხორციელდა ინდივიდუალური სახლების მშენებლობა. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 390 მოქალაქეზე გაიცა საგარანტიო წერილი. თანადაფინანსება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინო პლასტიკის რეკონტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურების (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ- ინსტრუმენტული და სვა სახის კვლევების , რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის გადასახდელი წილის 50%-ით არა უმეტეს 1000 ლარისა. თანადაფინანსება გაეწია 460 ბენეფიციარს. სამედიცინო თანადაფინანსება გაეწია ბავშვთა ასაკის 12 ბავშვს.

აუტიზმის სპექტრით დაავადებულ 191 ბავშვს გაეწია სამედიცინო თანადაფინანსება. ფულადი დახმარება გაეწია სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტებს 50%-იანი გრანტით ჩარიცხულ სტუდენტებს100-100ლარი, 70%-იანი გრანტით ჩარიცხულ 6 სტუდენტს თითოეულს 150 ლარ და100% იანი გრანტით ჩარიცხულ 5 სტუდენტს თითოეულს 200- ლარი. ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების მგზავრობის ხარჯებისათვის მეოთხე კვარტალში სულ დაიხარჯა 1376 ლარი.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge